

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბაკურ სონგულიას ანგარიში 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ბაკურ სონგულია

თანამდებობის დასახელება- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

ფრაქციის დასახელება\_ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“

კომისი(ებ)ის დასახელება - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- მაჟორიტარი, წალენჯიხის N68.16 ობუჯის საარჩევნო უბანი

საანგარიშო პერიოდი- 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა- 22  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება \_ 20

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა \_34  
კომისიის სხდომებზე დასწრება \_ 34

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 10  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება -10

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;

გ) მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის(2018-2022წწ.) განხილვის შესახებ.

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე;

ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

თ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის განაწილებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული

პირების ბიუჯეტის დაზუსტების წესების დამტკიცების შესახებ“

ი) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;

კ) წალენჯიხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ;

ლ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;

მ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე;

ნ) „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“;

ო) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;

პ) პეტიციები სხვა მიმდინარე საკითხები.

**5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:**

-

**6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა-12**

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 480

**7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:** სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორიაზე სოციალური დახმარების მოხსნაზე კონტროლის მექანიზმის შემუშავება. მუნიციპალიტეტში მოქმედ ჯანდაცვის პროგრამებში დაწესებული კრიტერიუმების მოხსნა, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, გაზიფიცირება, ინტერნეტიზაცია, დასაქმება.

**8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)**

მდ.ტარჩიაზე (სტადიონის მიმდებარედ) და მდ.ლაფარაზე ნაპირსამაგრის მოწყობა, ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია, სამესხიოს და ჯალირას უბანში სტიქიისგან დაზიანებული სამანქანო გზის რეაბილიტაცია, სტიქიისგან დაზიანებული ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია, სქურდილას უბანში შიდა საავტომობილო გზაზე რკ-ბეტონის საფარის მოწყობა, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის გადასახური მასალების მიწოდება.

**II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა**

აქტიურად ვმონაწილეობ კომისიების მუშაობაში, კომისიის სხდომებზე განხილულ საკითხთან დაკავშირებით დასკვნების მომზადებაში.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორების“ წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში. რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი ფრაქციისა და საკრებულოს წინაშე.

შეგსებისთარიღი-31.10.2018 წ.

წარდგენისთარიღი \_31.10.2018 წ.

ხელისმოწერა

